# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/209 " 20 " ნოემბერი 2020 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**ზოგიერთი კანდიდატისთვის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობის წარმოდგენისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ**

2020 წლის 5 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირები დარეგისტრირდნენ კანდიდატებად. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღეში კანდიდატებად რეგისტრირებულ პირებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უნდა წარმოედგინათ ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. აღნიშნული ცნობების წარგენისათვის კანდიდატებს განესაზღვრათ ვადა 2020 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით. შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატებმა, გარდა 3 კანდიდატისა, სრულად წარმოადგინეს ზემოთ აღნიშნული კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. კანდიდატებმა ბიძინა სტურუამ და თეა ძიმისტარაშვილმა აცნობეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ კორონავირუსის (კოვიდ-19) დადასტურების გამო იმყოფებიან თვითიზოლაციაში, ხოლო კანდიდატი ნონა თოლორაია აღნიშნული ვირუსის დადასტურების გამო გადის ჰოსპიტალურ მკურნალობას და შესაბამისად კანდიდატებმა ითხოვეს, მათი შრომისუუნარობისა და გადაადგილების შეზღუდვის გათვალისწინებით, დამატებითი ვადა დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების რეალიზების მიზნით, კანდიდატებს: ნონა თოლორაიას, ბიძინა სტურუას და თეა ძიმისტარაშვილს მიეცეთ დამატებითი ვადა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობის წარმოდგენისათვის, გამოჯანმრთელებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს საჯარო მოსმენის დაწყებისა.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი